

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ისტორია წარსულის შემსწავლელი მეცნიერებაა. წარსულის სრულფასოვანი და კრიტიკული გააზრება, გამოცდილების, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და ზოგადად საზოგადოების განვითარების შესწავლა დროსა და სივრცეში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის, მსოფლიოში არსებული გამოწვევების (იგულისხმება გლობალიზაციის პროცესი) ადეკვატურად აღქმისათვის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. დღეს მსოფლიოს განვითარება წარმოუდგენელია ხალხთა მშვიდობიანი და მეგობრული თანაცხოვრების გარეშე. ამის საფუძველი კი ისტორიული წარსულის შესწავლა, გაანალიზება, ღირებულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემაში მდგომარეობს. შესაბამისად გაგებული და გამოყენებული ისტორია დაგვეხმარება სხვადასხვა სახელმწიფოებს, ეროვნებებსა და საერთოდ ხალხთა შორის აგრესიისა და დაპირისპირების აცილება-დამლევაში.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>დარგობრივი კომპეტენციები</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება: აქვს მსოფლიო ისტორიის, მათ შორის საქართველოს (პრეისტორიული, ანტიკური, შუასაუკუნეების, ახალი და უახლესი), ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა;</p> <p>-ისტორიული მოვლენების, პრობლემების და ინტერესების ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირის გაცნობიერებისა და მათი დროში ცვალებადობის გაგება-გაანალიზების უნარი;</p> <p>-საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა არა იზოლირებულად, არამედ კავკასიის რეგიონთან, მახლობელ აღმოსავლეთთან და იმ ცივილიზაციებთან მიმართებაში, რომლებთანაც ისტორიულად იყვნენ დაკავშირებულნი;</p> <p>-მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ნაც-იონალური, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;</p> <p>-აქვს ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის დამხმარე ისტორიული დისციპლინების (პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, წყაროთმცოდნეობა, ნუმიზმატიკა და ა.შ) ცოდნა;</p> <p>-შეუძლია კვლევის საგნის დასახვა და მცირე მოცულობის ნაშრომის შექმნა;</p> <p>-აქვს სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის, მიდგომებისა და მეთოდის ცოდნა.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და წყაროების კითხვა, კომენტირება, ანოტირება და გამოყენება;</p> <p>-ფლობს ინფორმაციის მოძიების საშუალებებს (ბიბლიოგრაფიული, ზეპირსიტყვიერება, საარქივო, სამუზეუმო, ელექტრონული და ა.შ.) და შეუძლია მოძიებული ინფორმაციის გამოყენება, სავალდებულო (არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ) ექსპედიციებში მონაწილეობა;</p>

	<p>დასკვნის უნარი: წერილობითი, ნივთიერი, ბიბლიოგრაფიული,საველე და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და გამოყენებით შეუძლია ისტორიოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება.</p> <p>კომუნიკაციის უნარი: შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით გამართული კომუნიკაცია ისტორიოგრაფიისათვის სახასიათო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით, ისტორიოგრაფიული ტექსტების და წყაროების წაკითხვა; უცხოურ ენაზე საშუალო მოცულობის ისტორიოგრაფიული ხასიათის ანგარიშის შედგენა და მისი ზეპირი ფორმით შესაბამისი აუდიტორიისათვის მიწოდება; ისტორიული მონაცემების დამუშავებისას კომპიუტერული და ინტერნეტ რესურსების გამოყენება.</p> <p>სწავლის უნარი: შეუძლია საკუთრი სასწავლო პროცესის ორგანიზება,ინფორმაციისა და დროის ეფექტურად გამოყენება. აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარი, შეუძლია მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება; აქვს ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების, გადამუშავებისა და შეთვისების, ასევე სპეციალური ლიტერატურის გამოყენების უნარი; -აკადემიურად მზად არიან სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფერხურზე.</p> <p>ღირებულებები: შეუძლია სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ნაციონალური, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრება და პატივისცემა, ასევე ამ ღირებულებების საზოგადოებაში დამკვიდრება.</p>
შეფასების წესი	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი; ასოც. პროფესორი მერაბ ხალვაში.</p> <p>ტელ: 577 17 97 55 593-61-78-95 E-mail: m.khalvashi@bsu.edu.ge; otargogol@mail.ru</p>